ხელშეკრულება

ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) შესახებ

ინდივიდუალურ მეწარმეთა ამხანაგობა

„ლუჩო"

ქ. თბილისი

2008 წელი

ტერმინთა განმარტება

ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- **ამხანაგობა** – ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ლუჩო".
- **ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები** – ფიზიკური და/ან იურიდიული პირები, რომლებიც ხელს აწერენ ამ სადამფუძნებლო ხელშეკრულებას საერთო მიზნის მისაღწევად
- **ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრება** – (შემდგომში – საერთო კრება) ამხანაგობის უმაღლესი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები ამხანაგობის საქმიანობის შესახებ.
- **ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრი** – ნებისმიერი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი, რომლებიც გაწევრიანდებიან ამხანაგობაში საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი ფართის აშენების მიზნით.
- **შენატანი** – მოძრავი ან უძრავი ქონება, ან უფლებების ერთობლიობა, რომლებსაც ამხანაგობის დამფუძნებლები გადასცემენ საკუთრებაში ამხანაგობას.
- **სასტარტო კაპიტალი** – ამ ხელშეკრულების საფუძველზე დამფუძნებლების მიერ ამხანაგობის საკუთრებაში გადაცემული უძრავი და/ან მოძრავი ქონების ჯამი.
- **წილი** – შენობის და მიწის ნაკვეთის ნაწილი, რომელზედაც საკუთრების უფლებას იძენს ამხანაგობის წევრი.

მუხლი 1. სახელწოდება, მართვის ადგილსამყოფელი, დამფუძნებლები

1.1. ამხანაგობის სახელწოდებაა – ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა "ლუჩო"

1.2. ამხანაგობის მართვის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, საირმის გორა (ნაკვეთი №89; №92; №96).

1.3. ამხანაგობის დამფუძნებლები (მონაწილეები) არიან:

- თამაზ გაბისონია და ზაზა კალანდია;

რომლებიც ამ ხელშეკრულებაში მოხსენიებულნი არიან როგორც „ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები"

მუხლი 2. ამხანაგობის მიზანი

2.1. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) მიზანია მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა;

2.2. საცხოვრებელი სახლი უნდა აშენდეს ქ. თბილისში, საირმის გორაზე ნაკვეთი №89; №92; №96-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე ზომით 1424 კვ.მეტრი;

2.3. საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მახასიათებლები დადგინდება სამშენებლო დოკუმენტაციით. რის შესაბამისადაც განისაზღვრება მშენებლობის დაწყების ვადები.

2.4. დამფუძნებლები თანხმდებიან, რომ მშენებლობის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 20 თვეს და აღნიშნული ვადის ათვლა დაიწყება მშენებლობის ნებართვის მიღების მომენტიდან;

მუხლი 3. სასტარტო კაპიტალი, დამფუძნებელთა შენატანი ამხანაგობაში და სხვა ვალდებულებები

3.1. დასახული მიზნების მისაღწევად ამხანაგობის დამფუძნებელ წევრეთა მიერ ხორციელდება შენატანები (სასტარტო კაპიტალი). აღნიშნული შენატანები წარმოადგენს ამხანაგობის საკუთრებას და უნდა მოხმარდეს მხოლოდ და მხოლოდ ამხანაგობის საერთო მიზნის განხორციელებას.

- თამაზ გაბისონიას შენატანია 1424 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთი;
- ზაზა კალანდიას შენატანია ვალდებულება საკუთარი და მოძიებული სახსრებით გაიღოს ყველა ხარჯი საირმის გორაზე ნაკვეთი №89; №92; №96-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტირებისა და მშენებლობისათვის;

3.2. დამფუძნებელთა მიერ განხორციელებული შენატანი შეფასებულია ასორმოცდაათიათას ლარად;

მუხლი 4. ამხანაგობის ხელმძღვანელობა

4.1. დამფუძნებლები შეთანხმდნენ, რომ ამხანაგობის საქმიანობას უხელმძღვანელებს ამხანაგობის თავმჯდომარე. ამხანაგობის თავმჯდომარედ დამფუძნებლებმა აირჩიეს *ზაზა კალანდია – დაბადებული 25.07. 1976 წელს სოხუმში, მცხოვრები სოხუმი, სოფელი გესლეთი, პირადი №62003000380, პ/მ №00453787;*

4.2. თავმჯდომარეს მინიჭებული აქვს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება იგი ამხანაგობას წარმოადგენს მესამე პირებთან ურთიერთობასა და სასამართლოში, დებს გარიგებებს ამხანაგობის სახელით.

4.3. ამხანაგობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული საფინანსო დოკუმენტაციის და საჯარო რეესტრის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოებისა და ამხანაგობის საქმიანობიდან წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისათვის;

4.4. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ამხანაგობის ყველა წევრს გადაეცეს მათი კუთვნილი ქონების საჯარო აღრიცხვის ამონაწერი საჯარო რეესტრის სამსახურიდან ამ რეგისტრაციის მოხდენისთანავე.

4.5. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით გაუძღვეს ამხანაგობის საქმიანობას.

თავმჯდომარის ფუნქციებია:

- ამხანაგობის მიმდინარე საქმეების მართვა;
- მშენებლობის პროცესის ორგანიზაციულ-ფინანსური ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა;
- ურთიერთობის წარმართვა სამშენებლო კომპანიებთან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის განხორციელებისათვის;
- ამხანაგობის საფინანსო საქმიანობის წარმართვაზე ზედამხედველობა;
- ამხანაგობის წევრთა ინფორმაციული უზრუნველყოფა პროექტის მიმდინარეობის შესახებ;
- ამხანაგობისათვის წინადადებების მომზადება ახალი წევრის მიღების, შესაბამისი შენატანისა და წილის განსაზღვრისათვის;
- სხვა საქმიანობა, რაც დაკავშირებულია ამხანაგობის ყოველდღიურ საქმიანობასთან.

4.6. ამხანაგობის სახელით წერილობითი გარიგების დადებისას ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია მიუთითოს, რომ იგი მოქმედებს ამხანაგობის სახელით.

4.7. ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება აქვს უარი თქვას ხელმძღვანელობაზე, რის შესახებ მან ერთი თვით ადრე წერილობით უნდა აცნობოს ამხანაგობის ყველა წევრს. მასთან ამხანაგობის ხელმძღვანელობაზე უარის თქმა არ დაიშვება ისეთ დროს ან ისეთ ვითარებაში, რომელშიც იგი საზიანო იქნება ამხანაგობისათვის.

4.8. ამხანაგობის თავმჯდომარეს შეიძლება ვადამდე ჩამოერთვას ერთობლივი საქმიანობის გაძღოლის უფლებამოსილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი უხეშად დაარღვევს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

4.9. დამფუძნებლები გადაწყვეტილებას იღებენ ხმათა უმრავლესობით. ერთ დამფუძნებელს აქვს ერთი ხმა, მიუხედავად მისი წილისა.

4.10. თითოეულ დამფუძნებელს უფლება აქვს სხვა დამფუძნებელს მოსთხოვოს ამხანაგობის საქმიანობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

მუხლი 5. ამხანაგობის მმართველი ორგანოები

5.1 სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის თვალსაზრისით, ამხანაგობის წევრები იყოფიან ორ ჯგუფად: „დამფუძნებელი წევრები“ და „ჩვეულებრივი წევრები“.

5.2 „დამფუძნებელი წევრებს“ განეკუთვნებიან ამ ხელშეკრულების ხელმომწერნი პირები.

5.3 ჩვეულებრივი წევრები იქნებიან ის პირები, რომლებიც ამხანაგობის წევრები გახდებიან შემდგომში.

5.4 ამხანაგობის მართვის ორგანოა ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრება.

6. ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრება

6.1 ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრება არის ორგანო, რომელშიც შედიან ამ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი დამფუძნებელი წევრები.

6.2 ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრება მოიწვევა საჭიროებისამებრ.

6.3 ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრების კომპეტენციას განეკუთვნება:

6.3.1 ამხანაგობის საერთო სარგებლობაში არსებული ფართების სარგებლობის, ფლობის და განკარგვის შესაბამისი წესების დადგენა.

6.3.2 ამხანაგობის ძირითადი ორგანიზაციულ-ფინანსური საკითხების გადაწყვეტა, ამხანაგობაში შეტანილი თანხების ხარჯვის მიზნობრიობის განხილვა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება;

6.3.3 ამხანაგობის ახალი თავმჯდომარის არჩევა

6.3.4 ამხანაგობაში შენატანების ოდენობისა და კვოტების განსაზღვრა;

6.3.5 განუთავსებელი ფართების განაწილება;

6.3.6 ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრის ამხანაგობიდან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

6.3.7 ამხანაგობის წევრთა შორის წილობრივი საკუთრების იდენტიფიკაცია და განსაზღვრა.

6.3.8 ამხანაგობის სხვა საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც არ შედის თავმჯდომარის კომპეტენციაში.

6.4 ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრების საქმიანობას უძღვება ამხანაგობის თავმჯდომარე.

6.5 მუშაობის დაწყებამდე საერთო კრება ამტკიცებს თავმჯდომარის მიერ შემოთავაზებულ დღის წესრიგს.

6.6 ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრება უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ მას ესწრება ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა საერთო რაოდენობის 2/3.

6.7 ამხანაგობის წევრები გადაწყვეტილებას იღებენ ხმათა უმრავლესობით, ერთ წევრს აქვს ერთი ხმა, მიუხედავად მისი წილისა.

7. ბინების განაწილებისა და უფლების დათმობის წესი

7.1. ამხანაგობის დამფუძნებლები ვალდებულნი არიან სამშენებლო დოკუმენტაციის შედგენიდან 2 (ორი) თვის ვადაში შეადგინონ დამფუძნებელთა შორის ბინების განაწილების შესახებ სანოტარო აქტი.

7.2.ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია ბინების განაწილების შესახებ სანოტარო აქტი და სამშენებლო დოკუმენტაცია დაუყოვნებლივ წარუდგინოს საჯარო რეესტრს რეგისტრაციის მიზნით. საჯარო რეესტრში უნდა აღინიშნოს თითოეული ასაშენებელი ბინის მომავალი მესაკუთრე.

7.3. ბინების განაწილების შესახებ სანოტარო აქტი ძალაში შედის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

7.4. საცხოვრებელი სახლის აშენებისა და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ გადასაცემი ფართები და პირობები აღინიშნება შიდა ხელშეკრულებაში, რომელიც განუყოფელი ნაწილია წინამდებარე ხელშეკრულებისა.

8. დამფუძნებელთა პასუხისმგებლობა

8.1 ამხანაგობა ვალდებულია შეასრულოს მხოლოდ პროექტით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

8.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის ფინანსური უზრუნველყოფის განუხორციელებლობის შემთხვევაში დამფუძნებლები ვალდებულნი არიან ამხანაგობის სხვა დამფუძნებელ წევრებს აუნაზღაუროს მიყენებული ზარალი. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.3 თუ რომელიმე სხვა დამფუძნებელი წევრი ხელს შეუშლის ამხანაგობას ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში, იგი ვალდებულია მთლიანად აანაზღაუროს მიყენებული ზარალი.

8.4. თითოეულ წევრს უფლება აქვს სხვა წევრს მოსთხოვოს ამხანაგობის საქმიანობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

8.5. ნებისმიერი პირი, რომელიც გამოთქვამს სურვილს გახდეს ამხანაგობის წევრი უნდა აღიარებდეს და ეთანხმებოდეს წინამდებარე ამხანაგობის ხელშეკრულებას და მასში მითითებულ უფლება-მოვალეობებს.

8.6. ამხანაგობის წევრად გახდომის ფაქტით, ნებისმიერი ასეთი პირი ადასტურებს, რომ იგი ეთანხმება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და მას მიიჩნევს სავალდებულოდ.

8.7. ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრება განსაზღვრავს რიგითი წევრის მიღებისა და შენატანის ოდენობასა და ფორმას მისი განხორციელების გრაფიკის ჩათვლით.

9. ამხანაგობიდან გასვლის წესი

9.1. თითოეულ დამფუძნებელს უფლება აქვს გავიდეს ამხანაგობიდან. ამასთან ამხანაგობიდან გასვლა არ დაიშვება ისეთ დროს, ისეთ ვითარებაში და იმგვარად როდესაც იგი საზიანო იქნება ამხანაგობისათვის.

9.2. ამხანაგობიდან გასვლის მსურველმა ჩვეულებრივმა წევრმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ამხანაგობის თავმჯდომარეს, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას წევრის ამხანაგობიდან გასვლის შესახებ იღებს დამფუძნებელ წევრთა კრება. ამგვარი გადაწყვეტილება წევრის ამხანაგობიდან გასვლის შესახებ მიღებული უნდა იყოს განცხადების წარდგენიდან 45 დღის განმავლობაში.

9.3. წევრს გასვლის შედეგად უკან დაუბრუნდება მის მიერ უკვე გადახდილი შენატანები, იმ ხარჯების გამოკლებით, რაც აუცილებელია გასვლის რეგისტრაციისათვის. ამხანაგობა უფლებამოსილია დააყოვნოს უკვე გადახდილი თანხის უკან დაბრუნება გასვლის შედეგად გამონთავისუფლებილი ფართის შემდგომ განაწილებამდე.

9.4. ამხანაგობის ერთ-ერთი წევრის გარდაცვალების შემთხვევაში მის ადგილს იკავებს მისი მემკვიდრე.

9.5. ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრი შესაძლებელია გარიცხული იქნას ამხანაგობის წევრობიდან, თუ იგი არ ასრულებს, ან არაჯეროვნად ასრულებს მის ვალდებულებას, შესატანის შეტანის თაობაზე, აგრეთვე თავისი მოქმედებით (უმოქმედობით) ხელს უშლის ამხანაგობას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნის მიღწევაში.

9.6. ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრი შესაძლებელია გარიცხული იქნას ამხანაგობის რიგებიდან იმ შემთხვევაშიც, თუ იგი არ ემორჩილება და სისტემატიურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებას, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი ადგებათ ამხანაგობის დანარჩენ წევრებს.

9.7. შენატანის განუხორციელებლობის ან ვადის გადაცილების შემთხვევაში, ამხანაგობის თავმჯდომარე ამგვარ წევრს განუსაზღვრავს დამატებით ვადას შენატანის განსახორციელებლად. თუ დათქმულ ვადაშიც შენატანი არ განხორციელდა, ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დამრღვევი პირის ამხანაგობიდან გარიცხვის შესახებ.

9.8. წევრის გარიცხვის შემთხვევაში, მას ჩამოერთმევა შესაბამისი წილი, რის თაობაზეც ცვლილება წარედგინება საჯარო რეესტრს რეგისტრაციისათვის.

9.9. წევრის გარიცხვის შედეგად გამონთავისუფლებული ფართი შემდგომში განაწილდება საერთო წესით ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრების გადაწყვეტილებით.

9.10. ამხანაგობიდან გარიცხვისას, წევრს უკან დაუბრუნდება მის მიერ უკვე გადახდილი თანხა. ამასთან დასაბრუნებელ თანხას პირგასამტეხლოს სახით გამოაკლდება 10% და სანოტარო და საჯარო რეგისტრაციისათვის საჭირო ხარჯები. თანხის უკან დაბრუნება განხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ მას

შემდეგ, რაც წევრის გარიცხვის შედეგად გამონთავისუფლებილი ფართი განაწილებული იქნება.

10. ერთობლივი საქმიანობის ვადა და ლიკვიდაცია

10.1 წინამდებარე ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეწყდება მას შემდეგ, როდესაც: ა) დასრულდება მშენებლობა; ბ) იგი მიღებული იქნება ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით; გ) ყველა წევრი რეგისტრირებული იქნება, როგორც შესაბამისი უძრავი ქონების მესაკუთრე საჯარო რეესტრში და სრულად იქნება შესრულებული წევრების ფინანსური ვალდებულებები ამხანაგობის მიმართ.

10.2 ამ ამხანაგობის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, წევრები განიხილებიან, როგორც თანამესაკუთრეები და კისრულობენ ვალდებულებას გააფორმონ ურთიერთშორის ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.3 ამხანაგობის საქმიანობა ვადაზე ადრე წყდება მხარეთა მიერ სანოტარო აქტით გაფორმებული ურთიერთშეთანხმებით ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესით.

10.4 ამხანაგობის ვადამდე ლიკვიდაცია შეიძლება განხორციელდეს შემდეგ შემთხვევებში:

ა) ამხანაგობის შემადგენლობაში ორზე ნაკლები წევრის დარჩენის შემთხვევაში;

ბ) ამხანაგობის ყველა წევრთა მოთხოვნით;

გ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ისეთი საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტის მიღების შემთხვევაში, რომელიც შეუძლებელს გახდის ამხანაგობის მიზნის მიღწევა

11. ამხანაგობის დოკუმენტაციის აღრიცხვა

11.1 ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია აწარმოოს ჟურნალი, რომელშიც სავალდებულო წესით აღირიცხება შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ამხანაგობის დაფუძნების აქტი;

ბ) ამხანაგობის აქტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება;

გ) საცხოვრებელი სახლის ბინების განაწილების აქტი;

დ) საცხოვრებელი სახლის ბინების განაწილების აქტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება;

ე) ამხანაგობის მიერ დადებული ნებისმიერი ხელშეკრულება და ცვლილებები ამ ხელშეკრულებებში.

11.2 ჟურნალი უნდა იყოს ზონარგაყრილი და ბეჭდით დალუქული, თითოეული გვერდი დანომრილი.

ჟურნალში შეიტანება შემდეგი ინფორმაცია:

ა) აქტის დასახელება, შედგენის თარიღი, შინაარსი;

ბ) იმ ნოტარიუსის დასახელება, რომელმაც დაამოწმა აქტი, დამოწმების თარიღი და სარეგისტრაციო ნომერი.

11.3 ამხანაგობის ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია მოითხოვოს ჟურნალის ჩანაწერების გაცნობა და ასლების აღება. ანალოგიური უფლება აქვს ნოტარიუსს, რომელსაც ამხანაგობასთან დაკავშირებული სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის სჭირდება ინფორმაცია ამხანაგობის მდგომარეობის შესახებ.

11.4 ამხანაგობის დამფუძნებლები თანხმდებიან, რომ ამხანაგობის დაფუძნებისა და ბინების განაწილების აქტები, აგრეთვე ამ აქტებში შეტანილი ცვლილებები

სავალდებულო წესით უნდა წარედგინოს საჯარო რეესტრს და აღნიშნული აქტები საჯაროა – ნებისმიერ მესამე პირს უფლება აქვს მოითხოვოს საკუთარი ხარჯით ამ აქტების ასლების დამზადება.

11.5 ამხანაგობის დამფუძნებლები თანხმდებიან, რომ ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული აქტები მესამე პირების მიმართ ძალმოსილია მხოლოდ საჯარო რეესტრში წარდგენის შემდეგ.

11.6 ჟურნალის წარმოებისას სიზუსტეზე პასუხს აგებს ამხანაგობის თავმჯდომარე. ამ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება არის მძიმე დარღვევა, იწვევს თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლებას და შესაძლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.

11. დავის გადაწყვეტა

12.1 ამ ხელშეკრულების მოქმედებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადაო საკითხები გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საერთო სასამართლოს მიერ.

13. ფორს-მაჟორი

13.1. კანონმდებლობით დადგენილი წესით ფორს-მაჟორული (ომები, სტიქიური უბედურებანი) ვითარების გამოცხადების და მოქმედების შემთხვევაში ამხანაგობის წევრები დროებით თავისუფლდებიან ამ ხელშეკრულებით (აქტით) ნაკისრი ვალდებულებებისაგან. ფორს-მაჟორული ვითარების დადგომა არ იწვევს ხელშეკრულების მოშლას. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ვადები, გადავადდება ასეთი ფორს-მაჟორული მდგომარეობის დასრულებამდე.

13.2. ამხანაგობა ვალდებულია წერილობით აცნობოს ყველა დამფუძნებელს და წევრს ფორს - მაჟორული ვითარების დადგომისა და ამხანაგობის შემდგომი მოქმედებების შესახებ.

14. დასკვნითი დებულებანი

14.1 ამ ხელშეკრულებაში ცვლილებები შეიტანება წერილობითი ფორმით და მხოლოდ ყველა დამფუძნებლის თანხმობით.

14.2. მონაწილეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეთა სრულ შეთანხმებას და ძალაში შესვლის მომენტიდან ბათილად აცხადებს მხარეთა შორის არსებულ ყველა სხვა გარიგებას დადებულს ამავე საგანზე წერილობითი თუ ზეპირი ფორმით.

14.3. წინამდებარე აქტი შედგენილია 7 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს მაია ბრეგვაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცათ მხარეებს.

15. დამფუძნებელთა ხელმოწერები

თამაზ გაბისონიას მინდობილი პირი

ზაზა კალანდია

რეესტრში რეგისტრაციის №1-5023

ორიათას რვა წლის ოცდაათ აპრილს მე, ქ. თბილისის ნოტარიუსს ქ. თბილისში მაია ბრეგვაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში (მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ბაზალეთის ქ.№1) მომმართა ზაზა კალანდიამ, რომელიც მოქმედებს, როგორც მისი სახელით, აგრეთვე მის მინდობილი პირის თამაზ გაბისონიას სახელითაც, რომელმაც წარმოადგინა **ინდივიდუალური ბინათმშენებლობა ამხანაგობა "ლუხო"-ს** შექმნის შესახებ ხელშეკრულება და მოითხოვა მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ზაზა კალანდიამ (დაბ.25.07.1976 წ. სოხუმში, მცხ. სოხუმში, სოფ. ბესლეთი, პირადი №62003000380, პ/მ №თ0453787, გაც. სრს სოხუმის რ-ნის სამსახურის მიერ 18.10.2007), რომელიც მოქმედებს, როგორც მისი სახელით, აგრეთვე მის მინდობილი პირის თამაზ გაბისონიას (დაბ.10.11.1954 წელს, მცხ. რუსეთის ფედერაცია, ქ.მოსკოვი, კლიმაშკინის ქუჩა, სახლი 19, ბინა 81, პასპორტი № 1701239397 გაც. 10.04.2001 შ.ს.ს ქ.ვლადიმირის ოქტომბრის ოლქის სამმართველოს №332-002) სახელითაც, თანახმად მინდობილობისა დამოწმებული რუსეთის ფედერაციაში ქ.მოსკოვში ქ.მოსკოვის ნოტარიუსს კირილ ევგენის ძე სიდოროვის მოვალეობის შემსრულებლის ელენა ნიკოლოზის ასულ გალკოვას მიერ 23.04.2008 რეესტრიის №1გ-6229 მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და უფლებამოსილება. მე დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა და ამხანაგობის შექმნის შესახებ ხელშეკრულების პირობები. მას განვუმარტე წარმოდგენილი ხელშკრულების შინაარსი, მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. ამ განმარტების მოსმენის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა წინამდებარე ხელშეკრულება:

ხელშეკრულების იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარი არქივში თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები;

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდი №01.10.15.026.003 განაცხადის რეგისტრაციის №882008035274 – 13/02/2008
ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდი №01.10.15.026.022 განაცხადის რეგისტრაციის №882008031712 – 11/02/2008
ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდი №01.10.15.026.004 განაცხადის რეგისტრაციის №882008035264 – 13/02/2008
მინდობილობა დადასტურებული რუსეთის ფედერაციაში ქ.მოსკოვში ქ.მოსკოვის ნოტარიუსს კირილ ევგენის ძე სიდოროვის მოვალეობის შემსრულებლის ელენა ნიკოლოზის ასულ გალკოვას მიერ 23.04.2008 რეესტრიის №1გ-6229
ხოლო დანარჩენი გადაეცა ამხანაგობის თავმჯდომარეს.
ამხანაგობის თავმჯდომარემ გადაიხადა სანოტარო მომსახურების საზღაური: 462 ლარი და 50 თეთრი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის (11ივლისი, 1998წ. №1417 II-ს) 22-ე მუხლისა, 83 ლარი, 25 ლარი, სულ 545 ლარი და 75 თეთრი.

ქ.თბილისი ნოტარიუსი: ______________ /მაია ბრეგვაძე/